ხაშურის მოამბე

№36 (237) 23 სექტემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

ლევან კობიაშვილი-ხაშურში

ამ დღეებში, სამუშაო ვიზიტით, ხაშურში იმყოფებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი. ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო "ივერიის" სტა-

დიონის მშენებლობის პროცესის დათვალიერება და ამ პროცესის ერთგვარი მონიტორინგი. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას, აღინიშნა, რომ სტადიონის მშენებლობა გეგმის სრული დაცვით მიმდინარეობს და 2020 წლის შემოდგომაზე ის უკვე ამოქმედდება. ითქვა ისიც, რომ ახალ და თანამედროვე მოთხოვნებზე ადაპტირებული სტადიონი მკვეთრად გაზრდის ხაშურში ფეხბურთის პოპულარიზაციას და ჩვენი საფეხბურთო კლუბიც ახალ სიცოცხლეს დაიწყებს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ "ივერიის" სტადიონის მშენებლობა 6 მილიონი ლარი ჯდება და 2500 მაყურებელზეა გათვლილი.

მუნიციპალიტეტს კიდევ სამი ახალი საბავშვო ბაღი შეემატა

გვახსოვს, წლების წინ, ჩვენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, სადაც არც თუ ისე სახარბიელო იყო მდგომარეობა. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, გაუმართავი წყლის და გათბობის სისტემები. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ცდას არ აკლებდნენ ბავშვებისათვის ფერადი გარემო შეექმნათ და სწავლება პირველი საფეხურზე სტანდარტების შესაფერისი ყოფილიყო, მდგომარეობა მაინც სავალალო იყო – საბავშვო

ბაღებში სიტუაცია არ იცვლებოდა.

2016 წლიდან კი მდგომარეობა 180 გრადუსით შემოტრიალდა. დარწმუნებულიც კი ვართ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი არათუ ჩამოუვარდება საბავშო ბაღების დღევანდელი მდგომარეობით სხვა ქალაქებს, შეიძლება აღემატება კიდეც. სულ რაღაც სამ წელიწადში, ასეთ უმოკლეს დროში, მას შემდეგ, რაც ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანება" ჩამოყალიბდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხაშურის 12 საბავშვო ბაღს და აშენდა 6 ახალი ბაღი. დიახ, ამ ეტაპზე ხაშურის მუნიციპალიტეტში 18 საბავშო ბაღი ფუნქციონირებს. თუმცა, რიცხვი შეიძლება გაიზარდოს კიდეც. აღნიშნული ბაღები, მთლიანად აღიჭურვა საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, სათამაშოებით და სხვა საჭირო საბავშვო ბაღის დანიშნულების ნივთებით.

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ, ახალი სასწავლო წელი დაიწყო სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში და 15 რეაბილიტირებულ ბაღს კიდევ სამი ახალი საბავშო ბაღი დაემატა: ტეზრის, სატივის და შუშის ქარხნის. საბავშვო ბაღები, საზეიმო ვითარებაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილემ ზვიად ქურდაძემ და ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანების" დირექტორმა თათია ბროლიძემ გახსნეს. შუშის ქარხნის და სატივის ბაღის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა, ხოლო ტეზრის საბავშო ბაღი - მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტით.

წარმატებებს ვუსურვებთ საბავშვო ბაღების გაერთიანებას, მის თანამშრომლებს პედაგოგ-აღმზრდელებს, იმ დიდ საქმეში, რასაც პატარების აღზრდა-განვითარება ჰქვია ცხოვრების პირველ ეტაპზე.

მშრომელთა კეთილდღეობა - რკინიგზელთა პროფკავშირის მთავარი დევიზი

საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირი (თავჯდომარე გელა გელაშვილი) მრავალ ღონისძიებას ატარებს რკინიგზაზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. აწყობს ექსკურსიებსა და სხვადასხვა კულტურულ-სპორტულ ღონისძიებებს, მატერიალურად ეხმარება ხელმოკლე ოჯახებს, პროფკავშირის წევრებს დახმარებას უწევს აგრეთვე დაქორწინების, შვილის შეძენის, ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, სარვამარტო საჩუქრებს უკეთებს რკინიგზაზე დასაქმებულ ქალბატონებს, ხოლო საახალწლოდ – რკინიგზელთა შვილებს.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებათაგანია დასასვენებელი საგზურების შეძენა. უკვე რამდენიმე წელია პროფკავშირს ხაშურის კვანძის მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ქობულეთში დაქირავებული აქვს პანსიონატის ტიპის საოჯახო სასტუმრო, სადაც ყოველწლიურად 200-მდე ადამიანი ისვენებს, დამსვენებლები კმაყოფილები არიან საცხოვრებელი პირობებით, კვებით, მომსახურებით, რასაც მოწმობს სამადლობელი წერილების უწყვეტი ნაკადი, როგორც პროფკავშირის, ისე სასტუმროს მეპატრონეთა მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ამ სიკეთით რკინიგზის ხაშურის კვანძში დასაქმებულებმა ათეულობით პროფკავშირის წევრებმაც ისარგებლა.

რკინიგზელთა პროფესიული კავშირი კვლავაც გააგრძელებს მშრომელებზე ზრუნვას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსანში ამბულატორიის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

18 სექტემბერს სოფელ ბროლოსნის ამბულატორიაში იმყოფებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

მათი განმარტებით, სოფლის ამბულატორიები, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის თვალსაზრისით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

აღნიშნული პროექტი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსებით განხორციელდა და ღირებულებამ 39 959 ლარი შეადგინა.

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

1921 წლიდან ხაშური გორის მაზრაში შედიოდა. გორის მაზრის გაუქმების შემდეგ, 1929 წლიდან იგი რაიონული ცენტრია.

ხაშურში სახლობენ გვარები: აბაზაძე, აბაიშვილი, აბაიაძე, აბიაშვილი, აბალბაშევი, აბაშიძე, აბუაშვილი, აბულაძე, აგიაშვილი, აგლაძე, ადამიანსი, ადუაშვილი, ავალიშვილი, ავთანდილაშვილი, ავსაჯანაშვილი, აზარაშვილი, აისაშვილი, ალბრეხტი, ალევარიანი, ალელიშვილი, ალიბეგაშვილი, ალხაზიშვილი, ამანათაშვილი, ამბოკაძე, ამირგულაშვილი, ამირეჯიბი, ამირიძე, ანთიძე, არაბიძე, არბოლიშვილი, არდემანაშვილი, არევაძე, არსენიძე, არჩვაძე, არჯევანიძე, ასათიანი, ასანიძე, ასეიშვილი, ასლანიდი, აფციაური, აღაპიშვილი, აღაშვილი, აღაჯანაშვილი, ახილაძე, ახალკაცი, ახვლედიანი, ახობაძე, ბაბლიძე, ბაბუნაშვილი, ბაბუციძე, ბადაშვილი, ბადრიაშვილი, ბადრიშვილი, ბადუაშვილი, ბათიაშვილი, ბაიაშვილი, ბაიდაური, ბაკურაძე, ბალავაძე, ბალიანი, ბალიაშვილი, ბანდურაშვილი, ბანელიძე, ბანკანაშვილი, ბანცაძე, ბარათაშვილი, ბარათელი, ბარამიძე, ბარბაქაძე, ბარდაველიძე, ბასილაია, ბასილაშვილი, ბასიშვილი, ბაქრაძე, ბაღათურია, ბახტაძე, ბებიაშვილი, ბეგაშვილი, ბედოშვილი, ბედუაშვილი, ბედუკაძე, ბეთიაშვილი, ბეკოძე, ბეჟუაშვილი, ბერაია, ბერიძე, ბერია, ბეროზაშვილი, ბეროშვილი, ბერუკაშვილი, ბერძენიშვილი, ბესტავაშვილი, ბეღელაძე, ბეშკენაძე, ბზიავა, ბიბილაშვილი, ბიბილური, ბითაძე, ბილანოვი, ბირკაძე, ბიწაძე, ბიჭიკაშვილი, ბლიაძე, ბლუაშვილი, ბოგვერაძე, ბოთაძე, ბოკერია, ბოლოთაშვილი, ბოლოკაძე, ბოჟაძე, ბრეგვაძე, ბუაჩიძე, ბუდი, ბუზიაშვილი, ბუღაძე, ბურდულაძე, ბურმისტროვი, ბურნაძე, ბურჯანაძე, ბუტულაშვილი, ბუხნიკაშვილი, ბუხრიკიძე, გაბესაძე, გაგიაშვილი, გაგლოშვილი, გაგნიძე, გაზაშვილი,გათონელია,გამგონიძე,გამდლიშვილი,გამცემლიძე,გასიტაშვილი, გასიშვილი,გაფრინდაშვილი,გაჩეჩილაძე,გაწერელია,გეგეჭკორი,გელაშვილი, გელდიაშვილი,გერმანაშვილი,გერონტიშვილი,გვაზავა,გვარამაძე,გვასალია, გველესიანი, გველია, გიგიტაშვილი, გიგაშვილი, გიგუაშვილი, გინტური, გიორგაძე, გიორგობიანი, გლუნჩიძე, გობოზაშვილი, გოგალაძე, გოგოლაძე, გოგელაშვილი, გოგიბერიძე, გოგინაშვილი, გიგიტაური, გოგიჩაიშვილი, გოგიძე, გომარელი, გომიზაშვილი, გონგლაძე, გორგალაძე, გორგაძე, გორგოძე, გორდელაძე, გორელაშვილი, გოჩაიშვილი, გოჩიაშვილი, გოცაძე, გოცირიძე, გრიგალაშვილი, გრიგორიანი, გრიშვილი, გუგბერიძე, გუდაძე, გულაძე, გულიარიძე, გულიკაშვილი, გულისაშვილი, გუმბერიძე, გუნთაიშვილი, გურასპაშვილი, გურაჩაშვილი, გურგენიძე, გურეშიძე, გურიციძე, გურული, გურჯიშვილი, გუჯეჯიანი, დაბრუნდაშვილი, დავითაშვილი, დავითაძე, დავითულიანი, დავლაშერიძე, დათიაშვილი, დალალიშვილი, დანგაძე, დანელია, დარსალია, დარჩია, დევაძე, დევდარიანი, დეკანოიძე, დელიანიდი, დვალიშვილი, დიასამიძე, დოგაძე, დოკიძე, დოლაბერიძე, დოლაქიძე, დოლიაშვილი, დოლიძე, დონგაძე, დოფიძე, დოხნაძე, დუგლაძე, დუდაშვილი, დურგლიშვილი, ებანოიძე, ეგნატაშვილი, ედილაშვილი, ელაშვილი, ელბაქიძე, ელეგაშვილი, ელიაშვილი, ელისაშვილი, ეჯიბაძე, ვალიევი, ვარდინი, ვარდიაშვილი, ვაშაკიძე, ვაშალომიძე, ვახტანგოვი, ვახტანგაშვილი, ვეფხვაძე, ზადიკოვი, ზაზაძე, ზაზიკაშვილი, ზაკუტაშვილი, ზარბაზანაშვილი, ზარხოსაშვილი, ზასოხაშვილი, ზაქაშვილი, ზედგენიძე, ზენაშვილი, ზერეკიძე, ზექალაშვილი//მზექალაშვილი, ზუბაშვილი, ზუმბაძე, ზუნთურაშვილი, თაბაგარი, თაბუკაშვილი, თავართქილაძე, თავადიშვილი, თათანაშვილი, თათარაშვილი, თათენაშვილი, თაქთაქიშვილი, თედეშვილი, თედელური, თედიაშვილი, თევდორაშვილი, თევზაძე, თერძიშვილი, თვალიაშვილი, თიბილაშვილი, თიგიშვილი, თოდაძე, თოთიბაძე, თოთლაძე, თომაძე, თორაძე, თოფურია, თოფჩიაშვილი, თუმანიშვილი, თურმანიძე, თუშიშვილი, თხელიძე, იაკობაშვილი, იაკობიძე, იაკოვიდი, იაკუტინი, იალბუზიძე, იანტბელიძე, იაშვილი,ივანიდი,ივანიშვილი,ივანოვი,იველაშვილი,იკაშვილი,იმერლიშვილი, ინაშვილი, ინდუაშვილი, ინჩქითიძე, ინჯგველია, იონათამაშვილი, ირემაძე, კაბულაშვილი, კაიშური, კაკაბაძე, კაკაურიძე, კაკიაშვილი, კაკულია, კალანდაძე, კალმახელიძე, კამკამიძე, კანთელაშვილი, კაპანაძე, კარიაული, კასრაძე, კაციტაძე, კახაძე, კახელი, კახიძე, კახიშვილი, კახნიაშვილი, კახურაშვილი, კევლიშვილი, კელენჯერიძე, კეფაშვილი, კვალიაშვილი, კვაშილავა, კვეზერელი, კვერნაძე, კვესაძე, კვინიკაძე, კვიჟინაძე, კვირიკაშვილი, კიკაძე, კიკნაძე, კილაბერიძე, კილასონია, კილაძე, კიპაროიძე, კირთაძე, კირკიტაძე, კირიაკოვი, კიღურაძე, კლდიაშვილი, კობაიძე, კობალაძე, კობიძე, კობერიძე,კობესაშვილი,კობიაშვილი,კოზანაშვილი,კოკოზაშვილი,კომახიძე, კომლაძე, კოპაძე, კოპალეიშვილი, კოპინაშვილი, კორკოტაძე, კოშკაძე, კრივაშვილი, კუბლაშვილი, კუბელაშვილი, კუკარეკოვი, კუპრავა, კუპრაძე, კურტანიძე, კუჭაძე, კუჭაიძე, კუჭუხიძე, კუხიანიძე, ლაბაძე, ლაზიშვილი, ლალიაშვილი, ლალიკაშვილი, ლალუაშვილი, ლაფაჩი, ლაშქარაშვილი, ლაცაბიძე, ლევიძე, ლეკვეიშვილი, ლეკიშვილი, ლეჟავა, ლექიშვილი, ლეშკაშელი,ლიჩელი,ლობჟანიძე,ლოლაძე,ლომიტაშვილი,ლომიძე,ლომსაძე, ლომუაშვილი, ლორია, ლოქაბიძე, ლურსმანაშვილი, ლუტიძე, ლუქუნიძე, მაზიაშვილი, მაზმანიანი, მათიაშვილი, მაისურაძე, მაკედონი, მალაციძე, მალიკიძე, მამალაძე, მამარდაშვილი, მამისთვალოვი, მამიჯანაშვილი, მამულაშვილი, მამულოვი, მანიაშვილი, მანჩხაშვილი, მანჯავიძე, მარგველაშვილი, მარდიშვილი, მარკოზაშვილი, მარკოზია, მარნაძე, მაროშვილი, მარუაშვილი, მარჯანიძე, მაღალდაძე, მაღლაკელიძე, მაღრაძე, მაჩაბელი, მაჩაიძე, მაჩიტაძე, მაცხონაშვილი, მაჭარაშვილი, მაჭავარიანი, მახათაძე, მახარაძე, მახარაშვილი, მდინარაძე, მდინარაშვილი, მეგრელიშვილი, მედოიძე, მეზურნიშვილი, მეთევზიშვილი, მელაძე, მელიქიძე, მესხი, მესხიძე, მეტივიშვილი, მეტრეველი, მექერიშვილი, მეყანწიშვილი, მზექალ-იშვილი//ზექალიშვილი, მთვარელიძე, მთიულიშვილი, მინაძე, მინდიაშვილი, მირზოიანი, მიქაბერიძე, მიქაძე, მიქელაძე, მიხელაშვილი, მოგელაშვილი, მოსეშვილი, მოსიაშვილი, მოწონელიძე, მსხალაძე, მულაძე, მუმლაური, მუმლაძე, მურჯიკნელი, მღებრიშვილი, მშველიძე, მდინარაშვილი, მწარიაშვილი, მჭედლიძე, მჭედლიშვილი, მხატვრიშვილი, ნადარეიშვილი, ნადირაშვილი, ნადირაძე, ნავროზაშვილი, ნაზარაშვილი, ნათიშვილი, ნაკაშიძე, ნამგალაური, ნამგალაძე, ნასყიდაშვილი, ნაჭყებია,ნებიერიძე,ნეკერიშვილი,ნემსაძე,ნერგაძე,ნეფარიძე,ნიკოლაიშვილი, ნიკოლეიშვილი, ნიორაძე, ნიქაბაძე, ნოზაძე, ნონიაშვილი, ობოლაძე, ოდელაძე, ომიაძე, ორაშვილი, ორაძე, ორდენიძე, ორთოიძე, ორჯონიკიძე, ოსიტაშვილი, ოქონელიძე, ოშხნელი, პაიჭაძე, პაპიკინი, პაპიტაშვილი, პაპიძე, პარკაძე, პაპუაშვილი,პატარიძე,პაქსაშვილი,პეტრიაშვილი,პეტროსიანი,პირმისაშვილი, პოპიაშვილი, ჟამიერაშვილი, ჟვანია, ჟორჟოლიანი, ჟურავლიოვი, რაზმაძე, რაზმიაშვილი, რატია, რატიანი, რაქვიაშვილი, რევაზიშვილი, რთველიძე, რიმკუსი, რიჟამაძე, რობაქიძე, რომანიშვილი, როსტევანოვი, როსტიაშვილი, რუსიშვილი, რუხაძე, საათაშვილი, სააკაშვილი, საბანაძე, სადუნაშვილი, სადუნიძე, სამნიაშვილი, სამსონაშვილი, სამხარაძე, სანაძე, სანთელაძე, სარალიძე, სარიშვილი, საქუაშვილი, საყვარელიძე, საცერაძე, საძაგლიშვილი, სახვაძე, სებისკვერაძე, სვანიძე, სიდერეპულო, სიმონიშვილი, სირაძე, სირბილაძე, სიხარულიძე, სტეფანიშვილი, სტეფანოვი, სტეფნაძე, სულაბერიძე, სულავა, სულაქველიძე, სულიაშვილი, სულეიმანაშვილი, სუხიაშვილი, სხირტლაძე, სუხიშვილი, ტაბატაძე, ტაბუცაძე, ტაგანაშვილი, ტალახაძე, ტარიელაშვილი, ტატულაშვილი, ტეფნაძე, ტიტვინიძე, ტრანკაძე, ტურაშვილი, ტურტულაძე, ტუსიაშვილი, ტუღუში, ტუჩაშვილი, ტუჩიშვილი, ტყემალაძე, ტყეშელაშვილი, უკლება, ულუმბელაშვილი, ურიადმყოფელი, ეროტაძე, უჩიძე,

(გაგრძელება III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(დასასრული)

ფაბრიციუსი, ფათელაშვილი, ფაილოძე, ფანიაშვილი, ფანქველაშვილი, ფანჩვიძე, ფანჩულიძე, ფანჯიკიძე, ფარასტაშვილი, ფარცვანია, ფატარიძე, ფაფაკერაშვილი, ფერაძე, ფთაძე, ფიდიური, ფილია, ფილიშვილი, ფოფხაძე, ფოცხვერაშვილი, ფურცხანიძე, ფცქიალაძე, ფხიკიძე, ქადაგიშვილი, ქავთარაძე, ქავთარია, ქალიაშვილი, ქართველიშვილი, ქარსანაშვილი, ქარუხნიშვილი, ქაფიანიძე, ქაჯაია, ქელეხსაშვილი, ქემოკლიძე, ქესანაშვილი, ქველიძე, ქვირია, ქვრივიშვილი, ქიმერიძე, ქიტიაშვილი, ქობალია, ქოთუაშვილი, ქორგაშვილი, ქორთიაშვილი, ქოქოშვილი, ქოჩალაძე, ქოჩიაშვილი, ქუთათელაძე, ქურდაძე, ქურდოვანიძე, ქურიძე, ქუქჩიშვილი, ქუჩიაშვილი, ღამბაროვი, ღამბაშიძე, ღვალაძე, ღვინიაშვილი, ღვინჯილია, ღონიკიშვილი, ღონღაძე, ღოღობერიძე, ღოჯიშვილი, ყავლაშვილი, ყაულაშვილი, ყველაშვილი, ყიფიანი, ყიფშიძე, შავერდაშვილი, შავიძე, შათირიშვილი, შალიბაშვილი, შანიძე, შაორშიძე, შატიკაშვილი, შარაშენიძე, შარიქაძე, შატბერაშვილი, შელეკიძე, შენგელია, შერაზადაშვილი, შეყელაშვილი, შეყელაძე, შველიძე, შიოშვილი, შიუკაშვილი, შოთაშვილი, შტააძე, შუბითიძე, შუღლიაშვილი, ჩაგანავა, ჩაგელაშვილი, ჩადუნელი, ჩალაძე, ჩაუჩიძე, ჩაჩანიძე, ჩაჩუა, ჩაჩხიანი, ჩელინგიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჩიკვაიძე, ჩინჩალაძე, ჩიტაძე, ჩიტიაშვილი, ჩიქვილაძე, ჩიქოვანი, ჩიფჩიური, ჩიხლაძე, ჩოჩია, ჩოჩიშვილი, ჩუბინიძე, ჩუტკერაშვილი, ჩხეიძე, ჩხიკვაძე, ცაბაძე, ცაცანაშვილი, ცერაძე, ცერიაშვილი, ცინაძე, ცინცაძე, ცისკაძე, ციქურაძე, ციყელაშვილი, ციცვიძე, ციციშვილი, ციცქიშვილი, ცნობილაძე, ცუცქირიძე, ცქიფურიშვილი, ცხადაძე, ცხვედაძე, ცხვედიანი, ცხოვრებაშვილი, ძაბახიძე, ძამანაშვილი, ძანაშვილი, ძიგუა, ძინძიბაძე, ძირტკბილაშვილი, ძიძიგური, ძმორაშვილი, წეველიძე, წერეთელი, წვერიაშვილი, წივწივაძე, წითლანაძე, წიქარიშვილი, წიქორიძე, წიქრიძე, წოწოლაშვილი, ჭადაშვილი, ჭავჭავაძე, ჭანკოტაძე, ჭანტურია, ჭარხალაშვილი, ჭაღიაშვილი, ჭელიძე, ჭიპაშვილი, ჭიღლაშვილი, ჭკუასელი, ჭოლოკავა, ჭუბაბრია, ჭულუხიძე, ჭყოიძე, ხაბეიშვილი, ხაბელაშვილი, ხაბურზანია, ხავთასი, ხალვაში, ხარაზიშვილი, ხარაიშვილი, ხარატიშვილი, ხარშილაძე, ხაჩიძე, ხაჭაპურიძე, ხაჯაველიძე, ხეთაგური, ხერხეულიძე, ხეჩინაშვილი, ხვედელიანი, ხვედელიძე, ხიზანიშვილი, ხიჩაკაძე, ხიხაძე, ხმალაძე, ხმიადაშვილი, ხოზბერიძე, ხოლუაშვილი, ხომასურიძე, ხონელიძე, ხოსრუაშვილი, ხოჭიაშვილი, ხრიკაძე, ხუციშვილი, ხუჯაძე, ჯავახიშვილი, ჯალიაშვილი, ჯამბაზიშვილი, ჯანიაშვილი, ჯანჯღავა, ჯაფარაშვილი, ჯაფარიძე, ჯალალაშვილი, ჯახველაძე, ჯელაძე, ჯიბლაძე, ჯიბუტი, ჯიოშვილი, ჯიქურაშვილი, ჯიჯავაძე, ჯმუხაძე, ჯოხაძე, ჯომართიძე, ჯობენაძე, ჯოღერდიშვილი, ჯოხაძე, ჯოჯიშვილი, ჯუღელი, ჯუხარიძე...

ხაშურში მდებარეობს მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლი: წმ. მარინეს (XIX ს-ის 50-იანი წლები), იოანე ნათლისმცემლის (1913 წ.), წმინდა ბარბარეს (XX ს-ის 90-იანი წლები) ეკლესიები და კოშკი (გვიან– ფეოდალური ხანა).

ხიდისყური – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, აქ გამოედინებოდა მდ. სურამულა. ზ.დ. 670 მ. ხაშურიდან დაშორებულია 12-კმ-ით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 1კმ-ით. შედის გომის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ხიდისყურს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

აქ სახლობენ გვარები: ბარბაქაძე, თათაშვილი, მარღიშვილი, მულაძე, ნოზაძე, ჩეხოშვილი, ხარაიშვილი, ჩადაშვილი, ჯიოშვილი...

სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი (ხიდი) და საზღრული (ყური), ორივე არსებითი სახელია.

მსგავსი სახელწოდების სოფელია კასპის რაიონში.

ხცისი – სოფელი, მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სასოფლო საკრებულოს ცენტრი (ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხილნარა). ზ. დ. 705 მ. ხაშურიდან დაშორებულია 9 კმ-ით.

ვახუშტი ბატონიშვილი გვერძინეთის აღწერის დროს სხვა ხევებთან ერთად ასახელებს ხცისის ხევს, სოფელი ხცისი დატანილი აქვს რუკაზე.

უძველესი სოფელია, რაზეც მეტყველებს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა.

პროფ. ალ. ღლონტს მიაჩნია, რომ ხცისის ძველი სახელწოდებაა წვიმოეთი. ამასვე იმეორებს მკვლევარი მ. მთვარელიძე, რომელსაც ამავე დროს მიაჩნია, რომ „ხცისი" წვიმეთთან (წვიმოეთი) შედარებით ახალია, გვიანდელია.

დღევანდელი ხცისი მოიცავს საკუთრივ ხცისს და წვიმოეთს, რომელიც ასევე ძველი სოფელია და დღეს მისი ერთ-ერთი უბანია (იხ. წვიმოეთი).

სახელწოდება ხცისი მ. მთვარელიძის განმარტების მიხედვით, მომდინარეობს „ცისიდან" (ცისიერი) და შინაარსობრივად წვიმეთს (წვიმოეთს) უკავშირდება. „ცისი (ცისიერი) „არს ჰაერსა შინა რაიც იქნების – ელვა, ქუხილი, მეხი, - და რაიც შუქი და ნიშანი გამოჩნდების" (სულხან-საბა ორბელიანი). შუქი და ნიშანი კი ხცისში სწორედ წვიმეთის მხრიდან შეინიშნებოდა" (იხ. წვიმოეთი).

ხცისი საციციანოში შედიოდა.

იგი ისტორიულ დოკუმენტებში XVII საუკუნიდან გვხვდება. ბუნიათიშვილების მამულის სიგელებში ხცისი გვხვდება „ყრცისის", „ხრცისის" სახით. სიგელებში დაფიქსირებულია „ერთობილნი ყრციელნი", „ერთობილნი ხრციელნი". მამუკა მაღრაძესა და ციცი ციციშვილს შორის მამულზე დავის განაჩენში ნათქვამია, რომ მამუკას დარჩა „ტრანკაშვილისაგან მოსყიდული მიწა ერთი ყრცისის ბოლოსა; აქავ ჩაკასაგან მოსყიდული მიწა ერთი".

მერალიბეგ ციციშვილის ერეკლე მეფისადმი გაგზავნილი არზით (1744-1750), ცნობილი ხდება, რომ ხცისი არაერთხელ ქცეულა ციციშვილებს შორის დავის საგანი. დავით ციციშვილი, რომელიც იმერეთშია გადასული, „კიკნაძეებითა და ამაშუკელებით" მიუხდა ხცისს და ააოხრა.

XVIII საუკუნის მანძილზე ხცისმა მრავალჯერ განიცადა ლეკთა შემოსევები.

იოანე ბატონიშვილი თავის „აღწერაში" აფიქსირებს ხცისს, მოსახლეობას კი არ უთითებს.

1865 წელს ხცისში 38 კომლი გლეხი სახლობდა (7სახელმწიფო და 31 დროებით ვალდებული). 1886 წელს კი აქ 77 კომლი ცხოვრობს (238 კაცი და 179 ქალი, სულ 417 კაცი), მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მთლიანად ქართულია.

ხცისში სახლობენ გვარები: აბულაშვილი, ახალკაცი, ბერიძე, ბიჭიკაშვილი, ბლუაშვილი, ბურნაძე, გაგლოშვილი, გასიშვილი, გაჩეჩილაძე, გელაშვილი, გვარამაძე, გვერდწითელი, გოგიბერიძე, გრიგალაშვილი, გულაძე, დაბრუნდაშვილი, დავითაძე, თედეშვილი, თინიკაშვილი, თუმანიშვილი, კვიჟინაძე, კვირიკაძე, ლობჟანიძე ლომიძე, ლურსმანაშილი, მაისურაძე, მაჩაბელი, მთვარელიძე, მთიულიშვილი, მსხალაძე, ნებიერიძე, სხალაძე, ტარიელაშვილი, ტატუნაშვილი, ქებაძე, ქოჩიშვილი, ჩადუნელი, ციცვიძე, ცხოვრებაშვილი, ძამანაშვილი, ჭანტურიძე, ხარებაშვილი, ჯანგურიძე, ჯიქურაშვილი..

ხცისში შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლი, კერძოდ, ღვთაებისა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, რომლებიც ჩვენამდე ნანგრევების სახით არის მოღწეული. სოფლის ცენტრში დგას წმ. გიორგის ეკლესია (XIXს.). აქვეა თომა ციციშვილის სასახლე (1872წ).

ხცისის სამხრეთით, წვიმოეთის ტყეში დგას XI ს-ის დასაწყისის ცნობილი ძეგლი – იოანე ნათლისმცემლის ეკლესია.

ჯაფინაური – ადრინდელი სოფელი, სურამის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მდ. სურამულას მარცხენა მხარეს.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ამ სოფელს და დატანილი აქვს რუკაზე. მას იცნობს იოანე ბატონიშვილიც და სურამის წყალზე არსებულ სოფლებთან ერთად მოიხსენიებს. მის დროს, – XVIII ს-ის 90-იანი წლებში, – აქ მოსახლეობა არ ჩანს.

ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება ჯაფნიაურის ფორმით.

1691 წლის 9 იანვარს ზაზა აბაზაძემ ჯაფინაურში იასე მურვანიშვილს მიჰყიდა ორი დღის მიწა: "ჯობიაური მისი გამტანი ტყით, ჩიტირეკას, მერაბას და ახალბედაშვილის მიწებამდა".

1756 წელს ნებიერიძე დათუამ მურვან მურვანიშვილს ჯაფინაურში მიყიდა მიწა.

მურვანიშვილების მამულების სიაში (XVIII ს.) ნათქვამია: „სვიმონ ბატონიშვილი რომ ჯაფნიაურში ბრძანებულა, იმის საყდარ-სასახლე, მიწა ჯაფნიაურისა სულ მურვანიშვილს უჭირავს".

პროფ. შ. ქურდაძე ტოპონიმ ჯაფინაურის ახსნისას ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ისტორიულ დოკუმენტებში იგი ჯაფნიაურის ფორმით გვხვდება და სიტყვა „ჯაფა" - დან მომდინარედ მიიჩნევს. მკვლევარი აღნიშნავს: „ტოპონიმი ჯაფნიაური შეიძლება მომდინარეობდეს „ჯაფა" სიტყვისაგან. სიტყვა ჯაფა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია ორი მნიშვნელობით: 1. მძიმე შრომა და 2. როგორც „მეტყავის იარაღი" - მოხრილი რკინა, შიგნით ბლაგვპირიანი" (ტ. III, გვ. 1565).

ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი შეიძლება, მომდინარეობდეს „ჯაფა" სიტყვის მნიშვნელობიდან, რადგან ამ სოფლის მთაგორიანი სავარგულების გამო აქ მესაქონლეობა იქნებოდა განვითარებული. ამიტომ მეტყავის „ჯაფა" იარაღის აქ დამზადება თუ მოქმედება გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო.

ისტორიული ტოპონიმისაგან „ჯაფნიაური" ახლანდელი „ჯაფინაური" განსხვავდება სიტყვის შიგნით „ფნ" თანხმოვნიანი კომპლექსიდან „ნ"-ს გადაადგილებით. ამ მოვლენას ლინგვისტიკაში მეტათეზისს უწოდებენ. ეტყობა, „ფნ"-ს თანხმოვნიანი კომპლექსის სიტყვაში „ჯაფნიაური" ერთად წარმოთქმა გაძნელებულა და ამ გარემოების გამო მომხდარა სიტყვის შიგნით „ნ"-ს გადაადგილება, რის შედეგადაც მიღებულა უფრო ადვილად და ნათლად წარმოსათქმელი სიტყვა „ჯაფინაური".

შესაძლოა, ვიფიქროთ, რომ ტოპონიმში „ჯაფნიაური" „ნ" მქონებლობის მაჩვენებელი იყოს. ისტორიულად ამ ტოპონიმში არსებული „ნიერ" აფიქსისა. თუ მხედველობაში მივიღებთ პროფ. გ. ბურჭულაძის მოსაზრებას, მაშინ „ნ" ელემენტი, როგორც მქონებელი აფიქსის ნაშთი მოცემულ ტოპონიმში ასე შეიძლება წარმოსახულიყო: ჯაფნიერი, ე.ი. მატყლის იარაღის გამკეტებელთა თუ მომხმარებელთა საცხოვრისის აღნიშვნა (იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1987, გვ. 80-81). რაც შემდეგში უნდა შეცვლილიყო „ურ" სუფიქსით „ჯაფნიაური". ამ შემთხვევაში „ერის" მაგიერ „ურ" სუფიქსის შერჩევა იქნება იმის გამოც მოხდა, რომ სალაპარაკო და სამწერლობო ენაში „ურ" უფრო გაბატონებულია, ვიდრე „იერი".

ჯაფინაურში შემორჩენილია წმინდა ნინოს ეკლესის ნანგრევები.

ჯვართმუხა – ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე. მდებარეობს ცხრამუხის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ჯვართმუხას არ იცნობენ. არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის დუკუმენტებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

1886 წლის აღწერით, აქ 16 კომლი მოსახლეა (80 კაცი და 56 ქალი, სულ 135 კაცი). მოსახლეობა, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია. ისინი ძირითადად, დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან არიან გადმოსულები.

1925 წელს ჯვართმუხაში 39 კომლი სახლობს.

აქ ცხოვრობდნენ გვარები: გოგალაძე, ლომიძე, ჩხეიძე, კურტანიძე, ნოზაძე, მურჯიკნელი, რაზმაძე..

ჯვართმუხის მოსახლეობა XXს-ის 60-იან წლებში ჩაასახლეს ხაშურში და სოფელი მოიშალა.

ჯვართმუხაში შემორჩენილია წმ. გიორგის ეკლესის ნანგრევები. სოფლისგან მოშორებით, სამხრეთით მდებარეობს ნასაყდრის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც 1986 წელს ძველი ეკლესიის ნანგრევებზეა აღდგენილი.

სახელწოდება სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი (ჯვარი) და საზღვრული (მუხა) – ორივე არსებითი სახელებია.

თამაზ ლაცაბიძე

რედაქციის მინაწერი: დღევანდელ ნომერში დავასრულეთ თმაზ ლაცაბიძის ვრცელი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომის ბეჭდვა, რომელშიც მკითხველი მისთვის საინტერესო მრავალ ინფორმაციას მოიძიებდა. ვფიქრობთ, უახლოეს პერიოდში, გამოიძებნება ფინანსები, რომ ეს ნაშრომი წიგნის სახით გამოიცეს, რათა, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი ყველა ხაშურელის სამაგიდო წიგნად იქცეს.

მდიდარი რესურსების მქონე ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა

თანდათანობით მიილულა ის დრო, როცა ქართველები ვამყობდით ჩვენი წიგნიერებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, პროპორციულად, უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით, ეროვნული, პროგრესული ტრადიციებით, პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის და სხვა დარგებში ჩვენი თანამემამულეთა მიღწევებით.

მკითხველს მოცლილი კაცის ნააზრევ-მონატრებად არ ეგონოს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები დღითი-დღე იცვლება.

პირველ რიგში, მინდა, შეგახსენოთ საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის შესახებ, შემდეგში მოკლედ შევეხები ჩვენთან არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეებს და დავსვამ კითხვას: ამ შესაძლებლობის მქონე ქვეყანა და მისი მოსახლეობა, სწორი მართვის შემთხვევაში, შეიძლება თუ არა იყოს ღარიბი.

ახლა კი ფაქტები.

ოციოდე წლის უკან, როცა ყველაფერი აღრიცხებოდა, გვყვავდა 25192 მეცნიერ-მუშაკი, მათგან მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი გააჩნდა 1335 კაცს, მეცნიერებათა კანდიდატისა 9120 კაცს, აკადემიკოს-წევრკორესპონდენტი-პროფესორისა 1045-ს, გვყვავდა 2696 დოცენტი და 2019 უფროსი მეცნიერ-მუშაკი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ სასწავლო-სამეცნიერო თუ სხვა კათედრებზე.

გვყვავდა ყოფილი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის 61 წევრი და წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 214 წევრი და წევრ-კორესპონდენტი, მსოფლიოში აღიარებული 40 ქართველი აკადემიკოსი არჩეულ იქნა საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების, სამეცნიერო საზოგადოების წევრებად და უმაღლეს სასწავლებელთა საპატიო დოქტორებად, მაგალითად: ი. ბერიტაშვილი და ნ. მუსხელიშვილი ხუთგან თითოეული, ი. ვეკუა, თ. გამყრელიძე და ვ. ძოწენიძე, ოთხგან, გ.ჩიტაია, ა. შანიძე და ნ. ჯავახიშვილი, სამგან თითოეული და ა. შ.

გვყვავდენ ისეთებიც, რომლებიც მეცნიერებათა მწვერვალებზე იდგნენ, მაგრამ მათი არსებობის და მოღვაწეობის შესახებ თანამედროვეობის არაფერი უნდა ცოდნოდა.

მაგალითისთვის, გორელი აკადემიკოსის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, საბჭოთა, საბრძოლო რაკეტების შემქმნელი მამამთავრის ალექსანდრე ნადირაძის ცხოვრება გამოდგება.

შორს წაგვიყვანდა მსჯელობა იმ გენერლებისა და სამხედრო პირების შესახებ, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს სსრკ-ის შეიარაღებული ძალების აღჭურვილობისა და სხვაგვარი განვითარების საქმეში.

თავქარიანთა ხროვამ,რომელიც მზის ჩასვლას მზის ამოსვლად ასაღებდა მიწასთან გაასწორა ქართული მეცნიერება, დახურა მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო ცენტრები, კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაკულტეტები და ა.შ.

ერთ დროს, საქართველოს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული იყო უმაღლესი განათლების მქონე 286 ათასი სპეციალისტი და 2016 ათასი საშუალო სპეციალური განათლების მქონე კაცი.

განათლებისა და მეცნიერებისადმი ქარაფშუტულმა დამოკიდებულებამ შექმნა ისეთი გარემოება, როცა საქართველოში მიღებულ ცოდნას ფასი დაეკარგა. თანამდებობებზე უმეტეს წილად ისეთები ინიშნებიან, ვინც საზღვარგარეთული უმაღლესი განათლების დიპლომები დაითრია. ვაი, რომ მშობლიურ ენაზე მეტად უცხო ენის ცოდნას ექცევა ყურადღება. უცხოურ ენაზე მობჟუტურე პირს მეტი პრივილეგია აქვს, ვიდრე ქართულ ენაზე მოჭიკჭიკეს. სამწუხაროდ, უცხოეთში სწავლას ვერ ახერხებენ მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ნიჭიერი შვილები. ასე, თანდათან ჩნდება ნაპრალი ნიჭიერთა და ჯიბეგასქელებულთა შორის, რომელიც დროთა განმავლობაში უფსკრულად შეიძლება გადაიქცეს.

ახლა შევეხოთ აღრიცხულ ბუნებრივ რესურსებს და წიაღისეულს.

ზოგადად რომ ვთქვათ, საქართველოში ტყით დაფარულია ქვეყნის 39%, სახნავ-სათესად ვიყენებთ ტერიტორიის 16%-ს, გვაქვს 26 ათასზე მეტი მდინარე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა მათგანის გამოყენება ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად მათ კალაპოტში არსებული წყლის დებიტის გამო შეუძლებელია. თუმცა ელექტროსფეროს გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს შეეძლო და შეუძლია ელექტროენერგიაზე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ რუსეთის შორსგამიზნული მზაკვრული პოლიტიკის გატარების შედეგად, იმდენი ელექტროსადგური აგვაშენებინებს რომ მხოლოდ 10%-ით დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი მოთხოვნილებები და ამით მეტად ვყოფილიყავით მათზე დამოკიდებული.

ალბათ, ბევრს ახსოვს, რომ ერთ დროს ძლიან დამოკიდებული აღმოვჩნდით გარდაბნის თბოელექტროსადგურზე, რომელიც ხშირად გამოდიოდა (ან გამოყავდათ) მწყობრიდან და მის რემონტში იმდენი თანხა დაიხარჯა, რომ რამდენიმე მცირე სიმძლავრის ჰეს-ს ავაშენებდით, მაგრამ ეს ვაღაცას არ აწყობდა, რადგანაც ხელების მოთბობა შემოტანილ ენერგიაზე და დაუსრულებელ რემონტებში უფრო ეადვილებოდათ.

ახლა შეგახსენებთ ჩვენი სათბობ-ენერგეტიკული მარაგის ოდენობას:

ტყიბულ-შაორის ქვანახშირის მარაგი შეადგენს 307 მილიონ ტონაზე მეტს, ტყვარჩელისა – 21 მილიონ ტონაზე მეტს, ახალციხის მურა ნახშირისა – 71 მილიონ ტონაზე მეტს, მარგანეცის მადანი შეადგენს 239 მილიონ ტონაზე მეტს და ჯერ კიდევ შეუსწავლელია ყვირილის აუზისა და შქმერის მიდამოებში არსებული მადნის მარაგი. დაუდგენელია ან საჯაროობას არ ექვემდებარება საქართველოს მიწისქვეშ არსებული ნავთობის მარაგის ოდენობა. უძველესი დროიდანაა ცნობილი აჭარა-თრიალეთის ზონის მთებში სხვადასხვა მეტალის შემცველობის საბადოების არსებობა. განუსაზღვრელია ტორფის მარაგი.

არერთი სახელმწიფო და მათ შორის საქართველოც არ ამჟღავნებს მის ტერიტორიაზე არსებულ ოქროსა და მისი შემცველი საბადოების მონაცემებს.

აურაცხელია სხვადასხვა რაიონის ტერიტორიაზე არსებული სპილენძის შემცველი ქანები, ასევე ბევრია ტყვიისა და თუთიის შემცველი საბადოები, დარიშხანის მარაგი სვანეთის, რაჭის და ლეჩხუმის ტერიტორიაზე.

საქართველო მდიდარია მარმარილოსა და სხვა მოსაპირკეთებელი მასალებით, (ბაზალტი, გრანიტი და ა.შ) რომლის მარაგი შეადგენს 62 მილიონ კუბურ მეტრს. ბაკურიანის ანდეზიტის მარაგი შეადგენს 5 მილიონ კუბურ მეტრს, იგი ბევრია სტეფანწმინდის რაიონშიც, სხვადასხვა ადგილზე აღმოჩენილი ბარიტის მარაგი შეადგენს 8 მილიონ ტონაზე მეტს, ახალციხის რაიონში 8 მილიონ ტონაზე მეტი დიომისის მარაგია, გუმბრინის თიხის მარაგი შეადგენს 5 მილიონ ტონაზე მეტს, ასკანის თიხისა – 9 მილიონ ტონას, ძირულის მასივში შესწავლილი ტალკის მარაგი შეადგენს 2 მილიონ ტონას, ახალციხის რაიონში ტექნიკური აგატის მარაგი შეადგენს 2 ათას ტონას. საქართველოში ბევრია კვარცის ქვიშები, ბაჯიტის ქვიშის მარაგი შეადგენს 9 მილიონ ტონაზე მეტს. ეს ყველაფერი გამოიყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

სათვალავი არ აქვს სამკურნალო წყლებს, რომლითაც მდიდარია თბილისი, წყალტუბო, მახინჯაური, ნუნისი და ა.შ. ასეთი წყლები ჩვენი რაიონის ტერიტორიაზეცაა, მაგალითად: ბიჯნისში, ნარვანში, ღარიბადელეზე და ა.შ.

საქართველო უსაზღვროდ მდიდარია მინერალური წყლებით. აქ 500-ზე მეტი მინერალური წყაროა აღმოჩენილ- აღრიცხული. სამწუხაროდ ქვეყანას ათვისებული აქვს ამ წყაროების დაახლოებით 5%.

რა გამოდის? მიწიდან ფული ამოდის და ჩვენ ბოთლსაც ვერ ვუდგამთ, რომ ეს ღვთისაგან ნაჩუქარი სიმდიდრე ავითვისოთ და ფულიანი წყალი ნიაღვარს არ გავატანოთ. ახლა ისიც ვთქვათ, რომ თუ ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს უკეთესად გამოვიყენებთ, აღარ ვიქნებით ღარიბი ქვეყნის მოქალაქენი.

იმ ქვეყნის სიღარიბეზე ლაპარაკი უხერხულია, სადაც არც თუ ისე შორეულ წარსულში განვითარებული იყო მრეწველობის ისეთი დარგები როგორიცაა საავიაციო მშენებლობა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ჩარხთმშენებლობა, მცურავი საშუალებების მშენებლობა და რემონტი, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგი.

სამწუხაროდ, მამა-პაპათა ოფლით შექმნილი სიმდიდრე შვილთა და შვილიშვილთა თაობამ გაანადგურა და გაანავა.

ძვირადღირებული დაზგა-დანადგარები და სხვა სახის სამეურნეო ტექნიკა იშლებოდა, ჯართად იგზავნებოდა და იყიდებოდა სხვა ქვეყნებში, ჩვენი ქვეყანა კი იძარცვებოდა და ღატაკდებოდა, ხოლო ერთეულები მდიდრდებოდნენ და მილიონებს აბანდენდნენ სხვადასხვა ქვეყნის ბანკებში.

ბოლო არ უჩანდა (არც უჩანს) ჭამაში მადამოსულთა გაუმაძღრობას და პარპაშს.

მომხვეჭელობა და ფულომანია ფსიქიურ დაავადებაა, რომლისგანაც განკურნება მხოლოდ უკანასკნელ შენაძენს, ორ კვადრატულ მეტრ მიწას შეუძლია, თანაც ისე, რომ ყველაფერი მიწის მაღლა რჩება. ამ ქვეყანაში ხომ არაფრის საჭიროება არ არსებობს.

ღმერთო, მიეცი ფულომანიით დაავადებულებს იმის უნარი, რომ რაც და რამდენიც არ ჭირდება ამქვეყნიურ ცხოვრებაში, გაუზიარონ ეკონომიკურად გაჭირვებულ ადამიანებს, დაინახონ მათმა თვალებმა ფეხშიშველი, დაფლეთილტანსაცმლიანი, უმწეო, მშიერი, უწიგნო ბავშვები და გაუწოდონ მათ მატერიალურად დახმარების ხელი. ღვთის მადლით მდიდრებს ამით არაფერი დააკლდებათ, მშიერი ბავშვების მადლიერების გამომხატველი – გაბრწყინებული თვალებიდან გამოსული სხივი კი სინათლეს მოფენს გაუმაძღართა გონებას, ხელს შეუწყობს ქვეყანაში სიყვარულზე და ურთიერთმზრუნველობაზე დამყარებული ცხოვრების დამკვიდრებას.

ბავშვის გახარებაზე უკეთესი რა შეიძლება გააკეთოს ადამიანმა?

ხშირად ვფიქრობ: ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო რატომ უნდა იყოს მსოფლიოს ღარიბ ქვეყანათა რიცხვში.

პასუხი ათასნაირია, მაგრამ ყველა გამომდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების არასწორი მართვიდან, რაც იწვევს შინაარსლილობებს, მცირე ან დიდ დაპირისპირებებს, კანონის უზენაესობის პრინციპების დარღვევებს, ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების არასწორ გნაწილება-გამოყენებას, კუთხურობის გამოვლინებებს, სოციალურ სფროში აშკარა უთანასწორობებს, ნიჰილიზმს, წამხედურობას და ამის გამო ადამიანური მორალისა და სარწმუნოებისადმი ერთგულების რყვნას, გულცივობას, მედროვეობას და ა.შ.

ბრტყელ-ბრტყელ სიტყვათა მოტყა-პატყუპეს რა გამოლებს, მაგრამ ერთი კითხეთ ასეთებს: ოცდაათიოდე წლის უკან ქართველი კაცი იფიქრებდა, რომ სამომხმარებლო ჩაის საზღვარდარეთიდან შემოიტანდა? განა მმართველობის ბრალი არაა, როცა მანდარინი და სხვა ხილეუ-

(გაგრძელება V გვერდზე)

მდიდარი რესურსების მქონე ქვეყნის ღარიბი მოსახლეობა

(დასასრული)

ლი ხანდახან გადასაყრელი ხდება და მათი წვენები საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს? მართალია ხორბლეული არ გვყოფნის, მაგრამ ხილეულ-ბაღჩეულ-ბოსტნეული ხომ თავზესაყრელი(და არა გადასაყრელი) გვაქვს?

ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების მოქალაქეები ხელგამართულად უნდა ცხოვრობდნენ. რომელი ქვეყანა დაუშვებს, რომ მინერალური და სამკურნალო წყლების 95%, ასე ვთქვათ, წყალს მიჰქონდეს და ნიავდებოდეს ,მის ბიუჯეტში კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მოსახლეობის წყლით მომარაგების პრობლემები იდგეს.

როგორც ამბობენ, საქართველოში მიწისქვეშა წყლის ისეთი მარაგია, რომ მისი ათვისების და რეალიზაციის შემთხვევაში, ქვეყანა დღეს არსებული ბიუჯეტის ტოლ შემოსავალს მიიღებს. დიდი ხანია ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაიძრა. არ ვიცი, რა ვუწოდო ისეთ ადამიანებს, ვისაც ხელეწიფება ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ ამუხრუჭებს მას.

მეცნიერული გათვლებით, თუ წყლის ინდუსტრიის პროექტი განხორციელდება, ქვეყანაში ათიათასობით სამუშაო ადგილი შეიქმნება და ეკონომიკურად ისე მოვძლიერდებით, რომ ბევრი ქვეყანა შემოგვნატრებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არცერთი ქვეყანა არ ამუღავნეს მის ტერიტორიაზე არსებული ოქროს მარაგის რაოდენობას.

ოქროს საწმისის ლეგენდა-სინამდვილის მიხედვით, ჩვენთან ზოგიერთ მდინარეს ოქროს ნაფლეთ-ნაწილაკები ჩამოჰქონდა და ახლაც ჩამოაქვს სათავიდან შესართავისკენ, ამას რომ თავი დავანებოთ, საიდუმლო არაა, რომ აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილი შეიცავს მრავალგვარ მეტალთა, მათ შორის, ოქროს შენაერთებს. მაგრამ ზოგადად რომ ვიანგარიშოთ, თუ გრუნტის 1 მილიონი გრამიდან მემილიონედი ანუ ერთი გრამი ოქრო მიიღება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ მთაგრეხილში ასობით ტონა ოქროა ჩაბუდებული.

ამ უძვირფასესი მარაგის რამდენიმე ათწლეულში ათვისება ვერც მოხდება და არც არის მიზანშეწონილი, მაგრამ ის კი უნდა ითქვას, რომ ეს მთა და მარაგები ცალკეულ ადამიანებს არ შეუქმნიათ და არც ეკუთვნის მათ.

ბუნებისგან ნაბოძარი სიკეთით უნდა სარგებლობდეს ქვეყნის ყველა მოქალაქე და არა ცალკეული მიმტაცებლები.

ოქროს მოპოვებიდან შემოსავალი ისევე უნდა ხმარდებოდეს ქვეყანას, როგორც მარგანეციდან და სხვა საბადოებიდან.

არ მინდა, ვინმემ ზემოთ ნათქვამი სასპეკულაციოდ გამოიყენოს, მაგრამ იმას კი ხმამაღლა ვიტყვი, რომ დედამიწის იმ სარტყელში არსებული ქვეყნის მოქალაქენი, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების კარგი პირობებია და ბუნებრივი რესურსების აურაცხელი მარაგია, ამ სიმდიდრის სწორად მართვის პირობებში ფუფუნებაში თუ არა, მდიდრულად მაინც უნდა ცხოვრობდნენ.

ქვეყანაში რომ ათწლეულების განმავლობაში ფეხგადგმული არ ყოფილიყო ფულიჭამიაობა, რის შედეგადაც, აურაცხელმა სიმდიდრემ მოიყარა თავი ერთეულთა ხელში და გაედინა საზღვარგარეთ, ცხოვრების პირობები გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნიდან მიტაცებულ და გატანილ ფულის ტომ-



რებს ახლა ისევ ჩვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ იყენებენ.

ახლა ყველა ენაწაგდებული უნიათოს უწოდებს იმ ხელისუფლებას, რომელმაც ციხეში ჩასვა წინა ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი, შს მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, დედაქალაქის მერი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრა და აღმკვეთი ღონისძიება მიუსაჯა ქვეყნის პრეზიდენტს, იუსტიციის და სხვა დარგის მინისტრებს, ასევე ისეთ ჩინოსნებს, რომლებსაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა – ქალამნად, თავიანთი თავაშვებულობით და თავქარიანობით შავი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში.

ვეთანხმები აზრს, რომ კოჰაბიტაცია შერწყმას დაემსგავსა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმდენი არაკეთილსინდისიერი მოხელე ჰყავდა ქვეყანას, ყველა რომ ერთდროულად დაეჭირათ, მსოფლიო ზურგს შემოგვაქცევდა და შინაარსლილობა კი გარდაუვალი იქნებოდა. ხომ ხედავთ, გესლიანები როგორ იქცევიან, ცდილობენ, არაობიექტური მიდგომებით გონება მოუწამლონ ადამიანებს და ქვეყანა ჭაობში ჩაძირონ.

როგორც ამბობენ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ანუ ყურასაწევი კიდევ ბევრია, მაგრამ ერთდროულად ყველაფერს ვერც გააკეთებ და ვერც ყველას დაიჭერ.

ჩემი აზრით, დაჭერებს კი ალბათ ჯობია, რომ მიმტაცებლებმა სახელმწიფოსა და ხალხისგან მითვისებული მილიონები დაუბრუნონ ქვეყნის ბიუჯეტს, როგორც ე. შევარდნაძე ამბობდა – „დაყაჭონ“ და იარონ თავისუფლად. მათ ხომ სირცხვილის გრძნობა არ დაამძიმებთ.

უწმინდურთა ხელში იმდენი სიმდიდრეა დაგროვილი, რომ მისი კანონზომიერად განაწილების შემთხვევაში, ქვეყანაც წელში გაიშლებოდა და მოსახლეობაც.

სირცხვილი ის არის, რომ მდიდარი რესურსების მქონე ქვეყნის უჭკვიანესი ხალხი ღარიბულად ცხოვრობდეს და არა ის, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის აღკვეთისას, სამწუხაროდ, ვინმეს ტკივილი მიადგა. ეს თავზარდამცემი შემთხვევითობაა.

ცხოვრებას ცალი თვალით ნუ შევხედავთ, სხვადასხვა მხრიდან ყველაფერი სხვადასხვანაირად ჩანს, ჭეშმარიტების აღქმა-შეცნობის უნარი კი ღმერთისგან მინიჭებული მადლია, რომელიც ყველას არ გააჩნია.

სირცხვილი ის იქნებოდა, რომ რამდენიმე ასეულ თავაშვებულ და დაბოღმილ მოქალაქეს სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა და კიდევ ერთჯერ გამოეწვიათ ძმათა მკვლელი სამოქალაქო ომი.

ის საკენკი, თითქოს პარლამენტის აღება არ გვინდოდაო, თქვენს წიწილებს დაუყარეთ. თუ ასე იყო, კედლებს გარეთ იქნებოდით, თუ შიგნით, თქვენთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. იცოდით კი, ვინ რომელი სკამისკენ გაიქცეოდით?

სირცხვილი კიდევ ისაა, რომ ჩვენი წინაპრები სამშობლოს სალკლდეებს უკვდავების ხეზე და სხვა ქვეყნის სამოთხეზე არ ცვლიდნენ, დღეს კი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირები სამშობლოს მოქალაქეობაზეც კი უარს ამბობენ და საპოხი მასალის გამოყენების გარეშე უკანალში უძვრებიან სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებას და იქიდანაც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სამშობლოს წინსვლას და ძლიერებას, ღრენა-ყეფით მოსვენებას არ აძლევენ ჩვენს მოსახლეობას.

ქარავანი კი მაინც მიდის და მიდის.

სირცხვილია ისიც, რომ სამშობლოს ზურგშექცეულებს კიდევ ჰყავთ მოლაქუცე მიმდევრები, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეიცვალონ ტყავი და ხან მგლად მოგვეჩვენონ, ხან – ცხვრად.

სამშობლოს ღალატი პიროვნების თავისუფლების უფლებად მიაჩნიათ.

არ მინდოდა თემიდან გადამეხვია, მაგრამ ძველი ხალხიდან გამიგონია, რომ ქალისგან სტვენა უბედურების ნიშანიაო. მე ამ უბედურების მომტანი სიგნალი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში დავინახე და მოვისმინე, როცა ქალბატონები, ბოდიში, ჩაფსმამდე უბერავდნენ სასტვენს.

როცა ასეთ დეზორგანიზაციას გეგმავდნენ, ჩემთვის რომ ეკითხათ, ყურადღების მისაქცევ უკეთეს ხერხს ვასწავლიდი, რადამც უკანალის ჩვენება, მათი აზრით და მორალით, სირცხვილად აღარ ითვლება, აჯობებდა სასტვენები უკანალში გაეჩხირათ და იქიდან დაესტვინათ.

ასეთი ფანდით უმალვე მოექცეოდნენ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და არაჩვეულებრივი რეკლამით შეიძლება დიდი ფულიც გაეკეთებინათ. მათთვის ხომ ფული ყველაფერია, ფულზე ყიდიან მეგობრობას, ერთგულებას, სამშობლოს, სარწმუნოებას, ადამიანურ ღირსებებს და ა.შ.

მე მინდა, ფულომანიით დაავადებულებს, რომლებმაც არაკეთილსინდისიერად მოიპოვეს მატერიალური ქონება, შევახსენო ის ჭეშმარიტება, რომ ყველას დაუდგება მიწიერი ცხოვრებიდან განშორების დრო, როცა ყველაფერი მაღლა დარჩება, იმ ქვეყნად ყველასთან გათანაბრდება და გაიყოლიებს მოძღვრის სიტყვებს: მიწა ხარ, მიწად იქეციო...

ნუ შეიტანთ ოჯახში ნაწყევარ-ნაგინებ ლუკმას და ქონებას, ნუ აზიარებთ ბოროტებასთან ანგელოზად დაბადებულ უცოდველ შვილებს და შთამომავლობას, თორემ, როცა იმ ქვეყანში წახვალთ, დამსახურებული წყევლა-კრულვა ოჯახის საძირკველში დარჩება და მოსვენებას არ მისცემს მათ. შეიძლება ისინი იყვნენ მატერიალურად მდიდრები, მაგრამ იქნებიან სულიერად გაღატაკებულები და უბედურები. ხომ გაგიგონიათ: რაც არ გერგება, არ შეგერგებაო.

ჩვენ მდიდარი ბუნებრივი რესურსების, კარგი კლიმატური პირობების, უჭკვიანესი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ქვეყნის შვილები ვართ და არ გვეკადრება ღარიბულად ცხოვრება.

ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა, პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკის, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის და საერთოდ, სახელმწიფოებრიობის ყველა რგოლის გონივრულად მართვა, ეროვნული ენერგიის ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება.

მჯერა, რომ გონიერი ქართველი ხალხი დაძლევს სიღარიბეს.

რევაზ გრიგალაშვილი

ფლევში ახალი საჯარო სკოლა გაიხსნა

სოფელ ფლევში, ახლადაშენებული საჯარო სკოლის გახსნის ღონისძიებას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ზვიად როსტომაშვილი, პარლამენტის წევრი სიმონ ნოზაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალ სკოლაში სწავლის დაწყება მიულოცეს.

თანამედროვე ტიპის ორსართულიანი შენობა, რომლის მშენებლობაზე 3 მილიონ ლარამდე დაიხარჯა, 120 მოსწავლეზეა გათვლილი. მშენებლობა ევროსტანდარტების მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სკოლაში იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სასკოლო ინვენტარით, მოეწყო ღია და დახურული სპორტული მოედნები. სკოლაში ფუნქციონირებს ცალკე მდგომი სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი.

ფერეიდნელი ქართველები - ხაშურში

17 ივნისს, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, ფერეიდნელი ქართველები სტუმრობდნენ. სამი ქართველი ფერეიდნელი, ისტორიულ სამშობლოში, საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნდნენ. მათ სტუმრობას, დიდი სიხარულით და პატივით დახვდნენ საქართველოს ყველა მხარეში. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ ფერეიდნელ ოჯახს ხაშურის მერვე საჯარო სკოლის მასწავლებელი, მაია გუდაძე დაუკავშირდა და მოსწავლეებთან ერთად, ქართული ენის ონლაინ გაკვეთილები შესთავაზა მათ შვილებს. ამის შემდეგ, კავშირი არ გაწყვეტილა და საქართველოში სტუმრობისას, სიამოვნებით ეწვიენ ჩვენს ქალაქს. შეხვედრა ძალიან ემოციური იყო, არც ცრემლების შეკავება იყო ადვილი. "ცისარტყელას იქით საქართველოა"-ასე ასწავლიან ფერეიდნელ ბავშვებს დედები საქართველოს სიყვარულს, სიყვარულს, რომელიც გენეტიკურია და ჩვენ ენას და ტრადიციებს ინახავს.

სურათზე: ფერეიდნელ ქართველებს შპს „ხაშურის სტამბამ" ქართული სიმბოლიკებით დამშვენებული მაისურები გადასცა საჩუქრად.

საქართველოს ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში

ვერცხლის მედლები ბათუმიდან

ამ დღეებში, ბათუმში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი პლაჟის ფეხბურთში, ქალთა შორის, რომელშიც ხაშურის ქალთა გუნდიც იღებდა მონაწილეობას. მკითხველს შევახსენებთ, რომ სპორტის ამ სახეობაში ხაშურის გუნდი, წინა წლებში, ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. თემურ კობერიძის მიერ დამოძღვრილმა ჩვენმა გუნდმა, ამჯერადაც შესანიშნავად იასპარეზა, ფინალამდე ყველა მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხა და მხოლოდ საჩემპიონო ფინალი დათმო-დაძაბულ ბრძოლაში - 6 : 4 ჩემპიონები ბათუმელები გახდნენ, ჩვენს სპორტსმენებს კი ვერცხლის მედლები გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ ჩვენ გუნდს უფლება მიეცა, ქალთა შორის, პლაჟის ფეხბურთში, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზოს. ამ ტურნირს, გაისად, მაისის თვეში, პორტუგალია უმასპინძლებს. თუ ფინანსური მხარე მოგვარდა, არაა გამორიცხული, რომ ამ სახეობაში, პირველად ხაშურის ისტორიაში, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეთა შორის ხაშურის გუნდიც იყოს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.